საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №103/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 23 სექტემბრის №103 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 25 სექტემბრის №687/103-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის №103/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე მიკერძოებულად განიხილავს საქმეს, კერძოდ:

- მოსამართლეს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" დამეგობრებული ჰყავს არაერთი ადვოკატი, რაც მათ შორის ახლო კონტაქტის არსებობას გულისხმობს.
- ამასთან, მოსამართლემ -- -- წარმომადგენელს, -- -- ჩააბარა 11.11.2019 წლის განჩინება, მაშინ როდესაც მინდობილობის ვადა ამოწურული იყო.
- მოსამართლემ 25.11.2019 წელს -- -- წარმომადგენლის განცხადება ჩაიბარა უპრობლემოდ, მიუხედავად რწმუნებულების არარსებობისა.
- საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებაში -- -- წარმომადგენლად კვლავ უკანონოდ მითითებულია -- --.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის, ხელშეკრულებათა ნაწილობრივ ბათილად ცნობის, უძრავი ქონების მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 სექტემბრის განჩინებით კასატორს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა მის აღმოსაფხვრელად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 9 დეკემბრის განჩინებით, -- -- საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2020 წლის 24 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

საქმის განხილვა მიმდინარეობს მესამე ინსტანციის სასამართლოში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის დასკვნა:

3.1. -- -- 2020 წლის 23 სექტემბრის №103 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

3.2. -- -- 2020 წლის 23 სექტემბრის №103 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ, რამდენად შეიცავენ კონკრეტული ფაქტები დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია შეფასდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მხრიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს, რომელიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს და გამოიხატება, მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმაში, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მოსამართლის აცილების საფუძვლებს, მათ შორის 31-ე მუხლი შეიცავს იმ ჩამონათვალს, რომლის არსებობის შემთხვევაში მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. „მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;
ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;
გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში;
ე) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი წარმოადგენს იმპერატიული ხასიათის ნორმას, რაც არ გვაძლევს ამ მუხლში მითითებული დანაწესის ინტერპრეტირების საშუალებას. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვექნება, კანონის კონკრეტული მუხლის, რომელიმე პუნქტით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევა, მოსამართლე ვალდებულია აიცილოს საქმე და არ განიხილოს იგი.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა ეჭვქვეშ დააყენა მოსამართლის მიუკერძოებლობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების და პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“.

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას. მართლმსაჯულების წინაშე არსებული ამოცანების შესრულებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, საზოგადოების ნდობა, ვინაიდან საზოგადოების ნდობა არის მოსამართლის ლეგიტიმურობის საფუძველი და მისი უფლებამოსილების წყარო. დემოკრატიულ საზოგადოებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო იწვევდეს საზოგადოებაში ნდობას.[1]

მიუკერძოებლობა როგორც წესი ნიშნავს საქმისადმი წინასწარ დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას, ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევას, ანუ რამდენად აქვს მოსამართლეს პირადი დაინტერესება და მიკერძოება საქმის მიმართ, ასევე უნდა გაირკვეს რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით.[2] ამდენად, მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერ დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. „მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდეც რომ განხორციელდა".[3]

მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოებაში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებისას, მათ არ უნდა გაითვალისწინონ რაიმე, რაც სამართლის ნორმის გამოყენების ფარგლებს სცდება. საქმის განხილვისას მათ შეგნებულად არ უნდა მისცენ თავს უფლება გააკეთონ რაიმე კომენტარი, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოების რაიმე ვარაუდსაც კი გამოიწვევს.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს აზრით, მიუკერძოებლობის შესახებ მოთხოვნა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს სუბიექტური თვალსაზრისით, ანუ მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს პირადი მიკერძოება ან წინასწარ შექმნილი წარმოდგენა და მეორე, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის გარანტიებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს რაიმე ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.[4]

---

[1] PADOVANI v. ITALY

[2] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.04.2014 წლის განჩინება, საქმე №2/5273- 13;

[3] MICALLEF v. MALTA, WETTSTEIN v. SWITZERLAND,

[4] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ კომენტარების

ობიექტურობის შეფასებისთვის, კერძოდ, თუ რამდენად მიუკერძოებლად გამოიყურება მოსამართლე საზოგადოების თვალში, კრიტერიუმად გამოიყენება საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი[5]. მოსამართლის ქცევა ფასდება გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას.

მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მიკერძოების არსებობის შესახებ ვარაუდი დასაბუთებული უნდა იყოს.

საქმის შედეგით მოსამართლის პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესება და მისი სუბიექტური მიკერძოება მეტად რთული დასამტკიცებელია. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლის სუბიექტური მიკერძოება ვერ მტკიცდება, ასეთ დროს დამატებით უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოს ობიექტური მიუკერძოებლობის ტესტი. ანუ, უნდა არსებობდეს ესა თუ ის გარემოება, რომელიც მხარის ეჭვს სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ობიექტურ საფუძველს უქმნის. მთავარია, არსებობდეს რაიმე ობიექტური, ფაქტობრივი გარემოება, რომლის საფუძველზე მხარის ეჭვის წარმოშობა შეიძლება გამართლებული და ლოგიკური იყოს.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დამეგობრებული ჰყავს არაერთი ადვოკატი, რაც მათ შორის ახლო კონტაქტის არსებობას გულისხმობს, რაც გონივრულ ეჭვს აჩენს იმისას, რომ მოსამართლე მეორე მხარის ადვოკატთან მეგობრულ ურთიერთობაშია და გადაწყვეტილების მიღებისას იქნება მიკერძოებული. რას ნიშნავს მეგობრობა სოციალურ ქსელში და რამდენად არის შესაძლებელი facebook მეგობარს ვუწოდოთ ნამდვილი მეგობარი. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ბევრი ქვეყნის სასამართლოების მიერ მიღებულია გადაწყვეტილება ამ საფუძვლით მოსამართლის აცილების თაობაზე.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არის სოციალური ქსელის საინტერესო განმარტება, კერძოდ „სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ)“. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს".[6]

ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ „მოსამართლე, რომელსაც პროკურორთან აკავშირებს facebook მეგობრობა, აცილებულ უნდა იქნეს საქმიდან“.[7] თუმცა, უახლოესი პერიოდის გადაწყვეტილება, კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით მიიღო ფლორიდის უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც აღნიშნა, “სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მეგობრობა, არ ნიშნავს ნამდვილ მეგობრობას,

[5] ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ე.წ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ოფიციალური კომენტარები.

[6] საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-1559-1462-2012 (9/01/2014 წელი)

[7] Domville v. State, a 2012 case

ამასთან მოსამართლე შეუძლებელია მივიჩნიოთ მიკერძოებულად, როცა იხილავს დავას „ფეისბუქ“ მეგობრის მონაწილეობით. „მეგობრობის“ ცნება იმდენად განუსაზღვრელია, რომ რთულია ამ კუთხით მოსამართლის მიკერძოებულობის დამტკიცება. ფეისბუქის "მეგობარი" შეიძლება იყოს ან არ იყოს „მეგობარი“ ამ სიტყვის კლასიკური გაგებით", გადაწყვეტილებაში ცალსახად არის აღნიშნული, რომ „ფეისბუქ მეგობარი“ არ ნიშნავს „ახლო მეგობარს“.[8]

„საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეს Facebook–ზე მხოლოდ მეგობრობა არ ნიშნავს პირთან ახლო ურთიერთობას.“[9] „მოსამართლისა და ადვოკატის მეგობრობა სოციალურ ქსელში არ შეიძლება გახდეს, მისი საქმის განხილვისგან აცილების საფუძველი“.[10]

საინტერესოა, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია, რომ „სოც. ქსელში მეგობრობა ნიშნავს საერთო ინტერესებით ან საქმიანობით დაკავშირებულ ურთიერთობებს ადამიანებს შორის“.[11]

განსახილველ საქმეზე მხარის მიერ მითითებული არგუმენტი, იმის თაობაზე, რომ მოსამართლეს, რომელსაც სოც. ქსელ facebook-ზე მეგობრების სიაში ჰყავს იურისტები, წარმომადგენლები თუ ადვოკატები, თავისთავად არ წარმოქმნის მის მიერ საქმის მიკერძოებულად განხილვის ეჭვს, ვინაიდან არ არსებობს ესა თუ ის გარემოება, რომელიც მხარის ეჭვს სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ობიექტურ საფუძველს შეუქმნის. შესაბამისად არ არსებობს ის ობიექტური, ფაქტობრივი გარემოება, რომლის საფუძველზე მხარის ეჭვის წარმოშობა შეიძლება გამართლებული და ლოგიკური იყოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4.2. რაც შეეხება მოსამართლის შესაძლო მიკერძოების ფაქტსა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესით, პოლიტიკური და სოციალური ზეგავლენით.

აღნიშნულთან მიმართებით გასათვალისწინებელია ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლი, რომლის თანახმადაც მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს სამოსამართლო ეთიკის წესებზე, რომლის მიხედვითაც მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოებაში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას... მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებისას, მათ არ უნდა გაითვალისწინონ რაიმე, რაც სამართლის ნორმების გამოყენების ფარგლებს სცდება. საქმის განხილვისას ან თუ მათ საქმის განხილვა დაევალათ, მათ შეგნებულად არ უნდა მისცენ თავს უფლება გააკეთონ რაიმე კომენტარი, რომელიც

[8] ფლორიდის უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება
[9] კენტუკის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის გადაწყვეტილება
[10] არიზონას სამოსამართლეო ეთიკა, 2014 წელი
[11] საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 5 იანვრის განჩინება

საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოების რაიმე ვარაუდსაც კი გამოიწვევს ან შეიძლება გავლენა იქონიოს საქმის სამართლიან განხილვაზე.[12]

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (Fey v. Austria §28 და §30; Wettstein v. Switzerland, §42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (Pullar v. the United Kingdom, §32).

დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, სადაც განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს... მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას“.[13]

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საჩივრის ავტორის მიერ მითითებული არგუმენტების გათვალისწინება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლე იყო მიკერძოებული, ვინაიდან საქმეს აწარმოებდა ვადაგასული რწმუნებულებით და შესაბამისად ავლენდა კონკრეტული მხარის მიმართ მიკერძოებას, მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან საქმის მასალებით დადასტურდა, რომ -- -- წარმომადგენლის, -- -- რწმუნებულებას ვადა ამოეწურა 2019 წლის 5 ნოემბერს, მაგრამ მაშინ როდესაც მან წარადგინა საკასაციო საჩივარი რწმუნებულება იყო ვადიანი. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსამართლის ქმდება ვერ დაკვალიფიცირდება დისციპლინურ გადაცდომად.

---

[12] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, გვ.6 §23

[13] სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომები. შესაბამისად, 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №103/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი